



ମୁଖ୍ୟ
କାହାରେ

კლასი VI

ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

RTI
INTERNATIONAL



გულალი მაგრძოლი

ლიზა თრომბაუერის
მოთხრობის მიხედვით



ერთ მშვენიერ საღამოს, ვახშმობისას, მშობლებმა სანდროს გამოუცხადეს, ერთი წლით ზემო რაჭაში გადავდივართ საცხოვრებლადო. სოფელ სევაში, მდინარე რიონის მახლობლად, ბაბუას მიერ ხუთი წლის წინ გაშენებულმა ვენახმა იხარა. ბაბუამ ვენახის პირას პატარა სასტუმროც გახსნა და ოჯახიც იძულებული იყო, დახმარებოდა ამ მოუსვენარ ხანში შესულ კაცს.

სანდრო შეცბა. თბილისში ყველაფერი უყვარდა, რაჭაში კი რა მოელოდა, არავინ იცოდა.

სოფელში სამზარეულოს ფანჯრიდან რაჭის თოვლიან მთებს და ტყით დაფარულ ფერდობებს გასცეროდა.

მამის ერთი ახირება გუნებას კიდევ უფრო უმძიმებდა. მას ძალლის ყოლა უნდოდა. სანდროს კი ძალიან ეშინოდა ძალლების.

პატარა იყო, როცა ის ამბავი მოხდა. მისი ოჯახი ლისის ტბაზე ავიდა პიკნიკზე. სანდრო ნაპირზე იჯდა და მწვადს შეექცეოდა. უცებ, შორიახლოს გერმანული ნაგაზი გამოჩნდა. ნერწყვმორეული მწვადს შესცექროდა. სანდრომაც ხორცის პატარა ნაჭერი გადაუგდო. მეორე ნაჭრის გადაგდება ვერც მოასწრო, ძალლი ელვის სისწრაფით მკლავში ეცა და ბასრი კბილები ჩაასო. მწარედ დაამახსოვრდა საავადმყოფო, ნაკერები და ტეტანუსის შრატი, შემდეგ კი – დიდი ნაიარევი მკლავზე.

ამ ამბის მერე ძალლებისგან თავი შორს ეჭირა. ახლა კი მამა სახლში დიდი ძალლის მოყვანას აპირებდა. ფიქრობდა, რომ ასე შვილს ძალლების მიმართ შიშის დაძლევაში დაეხმარებოდა.

ერთხელაც მამამ ეზოში სწრაფად შემოაყენა მანქანა, გადმოვიდა და ღიმილით გამოაღო უკანა კარი. მანქანიდან ციმბირული





ჰასკი გადმოხტა და მამის გარშემო დაიწყო სირბილი. სანდრო ამრეზით უცქერდა ძაღლის ყინულივით ლურჯ თვალებს.

გადიოდა დღეები. ჰასკი გაჭიმული დადგებოდა ხოლმე სანდროს დანახვაზე, მისკენ იწევდა და სულ ცდილობდა, უკან ადევნებოდა.

— საერთოდ, ციმბირული ჰასკი ჭკვიანი და კეთილი ძაღლია, — უთხრა მამამ სანდროს, როცა ძაღლი პირველად შემოიყვანა სახლში. მაგრამ სანდრო ძაღლს ვერც მაშინ მიეკარა და ვერც შემდეგ, რამდენიმე კვირის განმავლობაში. — რას დაარქმევ?

სანდროს სახელი მოიფიქრებული არ ჰქონდა.

— მოდი, კარგად გაიცანი და სახელი შემდეგ შეურჩიე. ჯერ დაამტკიცოს, რომ შენთან მეგობრობა შეუძლია და მერე სახელსაც ადვილად მოიფიქრებ, — უთხრა მამამ.

მეორე დღეს, დილაადრიან, სანდრო და მამა მანქანით მდინარისკენ გაემგზავრნენ. ღია ფანჯრებში ზაფხულის თბილი სიო შემოდიოდა. ძაღლი უკანა სავარძელზე იჯდა, თავი ფანჯარაში გაეყო და ენა გადმოეგდო.

— დარწმუნებული ვარ, გაგვიმართლებს და რამდენიმე დიდ კალმახს დავიჭროთ, — თქვა მამამ.

სანდრომ მხრები აიჩეჩა, თუმცა არაფერი უთქვამს. სათევზაოდ წასვლა სულაც არ ეპიტნავებოდა. მას მეგობრები ენატრებოდა და გულის სიღრმეში თბილისში დაბ-

რუნებაზე ოცნებობდა. დღეს მისი მეგობრები ალბათ სტადიონზე წავიდოდნენ ფეხბურთის სათამაშოდ. კარვები და დიდი ძალლები ნამდვილად არ ადარდებდა.

იმ საღამოს, ვახშმის შემდეგ, როდესაც სანდრო და მამამისი კარავში ლოგინს შლიდნენ, ძალლი მისალმების ნიშნად მიეტმასნა. სანდრო უკან გადახტა და შეაურულა.

— ძალლი არაფერს გიზამს, — კიდევ ერთხელ უთხრა მამამ, როცა სანდრო მანქანისკენ დაიძრა. — გინდა გიჩვენო, როგორ უნდა მიხვიდე ძალლთან? ძალლმა ხელზე უნდა დაგყნოსოს, რომ შენი სუნი აიღოს.

მამა ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ძალლს, ხელი წინ ჰქონდა გაწვდილი, თან მშვიდი ხმით ეუბნებოდა მოსაფერებელ სიტყვებს. ძალლმა მისი ხელისკენ გადმოდგა ნაბიჯი, დაყნოსა და კუდის ქიცინი დაიწყო. მამამ ძალლს მიუალერსა, ნელა უსვამდა ხელს კისერსა და ყელზე, თან ისევ ტკბილად ესაუბრებოდა. ძალლის მეგობრული რეაქციიდან ჩანდა, რომ ალერსი ძალიან მოსწონდა.

— თუ სწორად მოექცევი, ძალლი არ შემოგიტევს, სანდრო, — თქვა მამამ, თან ძალლის მოფერებას განაგრძობდა.

— დარწმუნებული ხარ? — ჰკითხა სანდრომ დაეჭვებით და ძალლს ყურადღებით დააკვირდა.

— ხედავ? გილიმის და კუდს გიქიცინებს, — უპასუხა მამამ. — მგონია, შენთან მეგობრობა სურს.

სანდრომ უკან დაიხია, ძალლი რომ უკეთ დაეთვალიერებინა. ძალლს პირი დაეღო, ბასრი კბილები და მოვარდისფრო ენა უჩანდა. თავი გვერდზე გადაეგდო, თითქოს ელოდებოდა, სანდრო რაიმეს გადაუგდებდა. მართალია, სანდროს ძალლი კეთილგანწყობილი მოეჩვენა, მაგრამ მაინც ვერ დარწმუნდა, რომ მის გვერდით ოდესმე მშვიდად ყოფნას შეძლებდა.

მეორე დღეს, სისხამ დილით, სანდრომ და მამამისმა საჭირო ნივთები აიღეს და მდინარისკენ გასწიეს. სათევზაოდ საუკეთესო ადგილს ეძებდნენ. სანდროს უკვე მოსწონდა ეს გასეირნება. ძალლი მის წინ მირბოდა, გზა-დაგზა ჩერდებოდა და ჰერს ყნოსავდა ან თათით მიწიდან რაღაცას ჩიჩქიდა. ძალლის ცნობისმოყვარეობამ სანდრო გაამხიარულა. ღიმილით უცქეროდა, როგორ ცდილობდა ძალლი ნაპოვნი საგნების შემოწმებას.

– თევზაობის დაწყებამდე კარავს სწორ ადგილას გავშლით, – თქვა მამამ. – მოიტანე სამგზავრო ტომრები.

ძალლი სწორედ სამგზავრო ტომრების გვერდით იჯდა და სანდროს თითოეულ ნაბიჯს აკვირდებოდა. ბიჭმა არ იცოდა, რა უნდოდა ძალლს. ისე, რომ სანდროსთვის თვალი არ მოუშორებია, ძალლმა კბილებში მოიგდო ერთი ტომრის თოკი, შემდეგ ძირს დაუშვა, თითქოს პატრონს სთავაზობდა. სანდრომ ტომარას ფეხი გაჰკრა და



გვერდზე გადააგდო, ძალლს კი ეგონა, რომ ეთამაშებოდა. ცხვირით ტომრის ბურთაობა დაიწყო, თან სანდროს უყურებდა თამაშის სურვილით ანთებული თვალებით.

— მე მგონი თამაში უნდა, — უთხრა მამამ და მეორე ტომარა სანდროს გადაუგდო. სულ მალე ორივენი ერთად იცინოდნენ, რადგან ძალლი მხიარულად დახტოდა და სამგზავრო ტომრებს დასაჭერად დასდევდა. დაბინავების შემდეგ საუკეთესო სათევზაო ადგილის შესარჩევად ფიჭვის სქელი კორომის გავლით ჩრდილოეთისკენ გასწიეს. გამჭვირვალე, სუფთა ჰაერში ფიჭვის სუნი ტრიალებდა. სანდროს ცალ ხელში ანკესი ეჭირა, მეორეში — ბადე. ცდილობდა ბუნების სილამაზე სრულად შეეგრძნო.

ძალლი მას გვერდით მისდევდა, თითქოს იცოდა, რომ სანდროს იგი არც მოსწონდა და არც ენდობოდა. დროდადრო შეხედავდა, თითქოს უმტკიცებდა, რომ ყველაფერი კარგად იყო. როდესაც სანდროს შემთხვევით ანკესის ჯოხი დაუვარდა, ძალლმა თათი დაადო და მანამ ეჭირა, ვიდრე სანდრომ არ აიღო. სანდრო ფიქრობდა, რომ ძალლი მართლაც საყვარელი არსება იყო — იჯდა მიწაზე, თავი გვერდზე გადაეგდო, თათი კი ჯოხზე ედო. ანკესის ასაღებად რომ დაიხარა, სანდრო მიხვდა, რომ მისი ისე აღარ ეშინოდა. აშკარად მოსწონდა ეს ძალლი.

როგორც კი რიონს მიუახლოვდნენ, ძალლი მაშინვე წყალში ჩახტა და თათებით თევზების დაჭერას ცდილობდა. ნაპირზე რომ გამოვიდა, გაწუნული ძალლის დანახვაზე სანდროს და მამას სიცილი აუტყდათ. ძალლმა ტანი ენერგიულად გაიბერტყა და მამა-შვილს





წყლის წვეთები მიაფრქვია. სანდ-როს უნდოდა მიალერსებოდა, მაგრამ კვლავ შიშმა აიტანა.

თევზაობა ახალი დაწყე-ბული ჰქონდათ, როდესაც მდინარის მეორე მხარეს, პატარა მდელოზე, ყავის-ფერი დათვების პატარა ჯგუფი სათევზაოდ გამობა-ჯბაჯდა. ისე გაერთნენ თევ-ზაობით, რომ გარშემო ყურადღე-ბას არაფერს აქცევდნენ. მაგრამ ძალლი მათ ეჭვით უყურებდა და თითქოს მზად იყო თავ-დასხმისთვის, თუკი ისინი მდინარეზე გადმოსვლას გადა-წყვეტდნენ. ცოტა ხნის შემდეგ დათვები კვლავ ტყისკენ გაბრუნდნენ.

– რა საოცარი დათვები იყვნენ, არა? – იკითხა მამამ, როდესაც იმ საღამოს კოცონთან ისვენებდნენ.

ძალლი სანდროს გვერდით იწვა, მაგრამ მას არ ეხე-ბოდა. სანდრო მამას დაეთანხმა, ყავისფერი დათვების ოჯახის ნახვა მართლაც საოცრება იყო. მას უკვირდა, რომ დათვებმა ვერ შენიშნეს მდინარის მეორე მხარეს მოთევზავე ადამიანები.

– თევზებიც რა გასაოცარი იყო! – წამოიძახა სანდ-რომ და თევზიდან შემწვარი კალმახის ბოლო ნაჭერი აიღო. – ძალიან გამიკვირდა, რამდენი თევზი დავიჭირეთ!

– ესეც ხომ ცდილობდა თევზის დაჭერას! – გაიცინა მამამ და ძალლის მოსაფერებლად გადაიხარა.

ეს იყო ჩინებული დღის ჩინებული დასასრული. თევზაობა ძალიან სასიამოვნო იყო, გარემო – შთამბეჭდავი, საჭმელი – დიდებული, ხოლო ამინდს უკეთესს ვერც ინატრებდი. მთელი ამ დროის განმავლობაში სანდრომ პირველად იგრძნო კმაყოფილება, რომ აქ იყო, მთებში, მამასთან ერთად. უკვე ისიც მოსწონდა, რომ თან ჰასკიც ახლდათ.

უეცრად საღამოს მყუდროება ძალლის ხავილნარევმა ძლიერმა ყეფამ დაარღვია.

– ჩუმად! – მკაცრად უბრძანა ძალლს მამამ. მაგრამ ის არ ჩერდებოდა, ყეფას განაგრძობდა. თავი ზემოთ აეწია და ყინულივით ლურჯი თვალებით დაჟინებით იცქირებოდა ტყის მიმართულებით.

მამა-შვილმა ძალლის მზერას თვალი გააყოლა. სული შეეკრათ. ტყიდან დიდი ყავისფერი დათვი გამოვიდა და პირდაპირ მათკენ წამობაჯბაჯდა.

– ალბათ შემწვარი თევზის სუნი იყნოსა, – ჩაიჩურჩულა სანდროს მამამ. შვილისკენ გაჩოჩდა, თან სამგზავრო ტომარაში იქექებოდა.





დათვი საჭმლის ნარჩენებისკენ დაიძრა და ამ დროს ადამიანის სუნი ეცა. ახლა პირდაპირ სანდროს და მამა-მისის მხარეს იყურებოდა. მერე მათკენ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა. დათვი უახლოვდებოდა კოცონს, რომლის უკანაც ორი ადამიანი მიყუჟულიყო. ძაღლის ღრენა გააფთორებულმა ყეფამ შეცვალა. სანამ დათვი ადამიანებს მიუახლოვდებოდა, ის სწრაფი ნახტომით დაესხა თავს.

– უკან! – დაუძახა მამამ, მაგრამ გვიანი იყო, ძაღლი უკვე შებმოდა დაუპატიჟებელ სტუმარს.

ძაღლმა თავისი ბასრი კბილები დათვს წინა თათში ჩაასო. დათვი უკანა თათებზე შედგა და დაიღრიალა. მერე ტორი ასწია და მაგრად მოიქნია. ბასრმა ბრჭყალებმა მთვარის შუქზე გაიბრნენია. ძაღლი პაერში დატრიალდა, ძირს დაეცა და მიწაზე გადაგორდა.

ამასობაში სანდროს მამამ თოფი გადატენა. გას-როლის მკვეთრი ხმის ექო მთელ ტყეში გაისმა. შეშინებუ-ლი დათვი სწრაფად გაძუნძულდა უკან ტყისკენ. სანდროს მამა ფეხზე წამოდგა, იარაღი კვლავ შეაყენა და გასას-როლად მოამზადა.

– სანდრო, კარგად ხარ? – ჰკითხა მამამ. მერე ამოი-სუნთქა და თქვა: – გამაფრთხილებელი გასროლა საკმარისია ხოლმე დათვის შესაშინებლად. ვერც კი წარ-მოვიდგენდი, ასეთი საფრთხე თუ გვემუქრებოდა. ძალლ-მა ღრენა რომ დაიწყო, მაშინ კი გავითიქრე...

სანდრო ცოტა დამშვიდდა, აი ძალლი კი აშკარად ცუდად იყო, უძრავად იწვა მიწაზე. ბიჭი შეწუხებული შესცქეროდა მამას, რომელიც ძალლთან ჩამჯდარიყო და ჭრილობებს უსინჯავდა.

– ცოცხალია? – ჩაიჩურჩულა სანდრომ, თან ცრემ-ლებს მალავდა.

– მგონი სუთქავს, თუმცა, ალბათ, მძიმედაა დაჭრილი, – თქვა მამამ შეწუხებული ხმით. – ქვემოთ, მდინარესთან, საავადმყოფოა. იქნებ ვინმე დაგვეხმაროს.



სანდრო შესცექეროდა მამას, რომელმაც ფრთხილად აიყვანა ძალლი და მანქანისკენ წავიდა.

– ჩვენ გვიცავდა, – თქვა სანდრომ. ბიჭი თანდათან მშვიდდებოდა. მანქანის სავარძელზე თავისი საბანი დააფინა და მამას ძალლის დაწვენაში დაეხმარა. შემდეგ ფრთხილად დააფარა საძილე ტომარა. ძალლს კუდი ოდნავ უთროთოდა, მერე სულაც გაუშეშდა. სანდრომ გადაწყვიტა, საავადმყოფოში მისვლამდე ძალლს გვერდით მიჯდომოდა.

მამამ აჩქარებით დაქოქა მანქანა და სწრაფად დაძრა. მდინარის ქვალორლიან სანაპიროზე ჯანჯღარით მიდიოდნენ, მაგრამ სანდრო თითქოს ვერც კი გრძნობდა ამას. სიბრალულით დახედა ძალლს. შემდეგ თავზე გაუბედავად დაადო ხელი. მოეჩვენა, რომ ძალლი ძალიან თბილი, ძალიან რბილი და ძალიან უმწეო იყო. უნდოდა მისთვის ეთქვა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა.

მამას ერთი ვეტერინარი ეგულებოდა სოფელში. მის სახლამდე მისვლას ერთ საათს მოუნდნენ, თუმცა სანდროს მოეჩვენა, რომ გაცილებით დიდი დრო გავიდა. თვალწინ სულ ის უტრიიალებდა, როგორ იხსნა ისინი ძალმა. საავადმყოფოში რომ მივიდნენ, მამას მის ექიმთან შეყვანაში დაეხმარა.

ვეტერინარმა ჯერ გულდასმით დაათვალიერა ჭრილობები, მერე კი მათი გასუფთავება დაიწყო.

როცა იგი ჯერ კიდევ ძალლს დასტრიალებდა თავს, სანდრომ შეშინებული ხმით ჰკითხა: – მოკვდება?

– არა, – მტკიცედ უპასუხა ექიმმა. – ერთი ჭრილობა ლრმაა, მაგრამ რამდენიმე ნაკერი და ანტიბიოტიკი გამოაჯანმრთელებს. ამას გარკვეული დრო და განსაკუთრებული მოვლა დასჭირდება. ჰო, მართლა, რა ჰქვია?



სანდროს მამას უნდა ეთქვა, ძალლს სახელი არ აქვსო. ამ დროს სანდრომ წამოიძახა: „გულადი“ და მამას გადახედა.

– „გულადი“, – გაიმეორა ექიმმა. – რაც თქვენ მიამბეთ, ეს სახელი მართლაც რომ შეეფერება ძალლს, რომელიც დათვს შეებრძოლა თქვენ გადასარჩენად.

– ჩემი ძალლია! – ამაყად თქვა სანდრომ. – გადარჩება და კარგადაც იქნება. მე მოვუვლი.

სახლისაკენ მიმავალ გზაზე გულადი უძრავად იწვა უკანა სავარძელზე, წამლისაგან ჯერ კიდევ დასუსტებული იყო. თავი სანდროს მუხლებზე ედო. დროდადრო მიბნედილი თვალებით ახედავდა ხოლმე სანდროს. ეს თვალები ზაფხულის ცასავით თბილი იყო.

– ხედავ, სახელი რა ადვილად შეურჩიე! – თქვა მამამ. – ნამდვილად იმსახურებს ამ სახელს.

– ჩვენ გამო დათვს შეებრძოლა! – უპასუხა სანდრომ. – მე მისი აღარასოდეს შემეშინდება.

ძალლის ყნოსვა



ძალლი კომუნიკაციისთვის ყნოსვის უნარს იყენებს. მისი ყნოსვა ადამიანისაზე გაცილებით ძლიერია. ძალლს შეუძლია იგრძნოს ისეთი სუნი, რომელ-საც ჩვენ საერთოდ ვერ აღვიქვათ. მას მრავალ სხვა სუნთან შერეული ძალიან სუსტი სუნის გარჩევაც შეუძლია. სუნის გამოცნობის უნარით ძალლი სპეციალურ ხელსაწყოებსაც კი სჯობნის. სწორედ ამიტომ იყენებენ ძალლებს ნარკოტიკების, გაუონილი ბუნებრივი აირისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების აღმოსაჩენად. ასევე, უკაცრიელ ადგილებში დაკარგული და ზვავში მოყოლილი ადამიანების ძებნისას.

რატომ არიან ძალლები საუკეთესო მყნოსველები? ამას მათი ანატომიური თავისებურება განაპირობებს. ყნოსვა იწყება ცხვირის შიგნითა გარსის ეპითელიუმში. მისი ზედაპირი ძალლებში დაახლოებით 170 სმ²-ია, მაშინ როცა ადამიანებში იგი მხოლოდ 10 სმ²-ია. ძალლს სხვა უპირატესობაც აქვს. მისი ცხვირი მუდამ სველია. მიაჩნიათ, რომ სველი ცხვირი წებოვანი ქალალდივით მოქმედებს. ის სუნის მქონე მოლეკულებს იკრავს. ნესტორები პატარა ანტენებივითაა. როცა ძალლი თავს ასწევს და ცხვირს ენერგიულად აბრუნებს აქეთ-იქით, ის ცდილობს გაიგოს, საიდან მოდის სუნი. ამ დროს იგი ჩვეულებრივი სუნთქვიდან ყნოსვაზე გადადის. გარემომცველ ჰაერში ახალი „ინფორმაციაა“ და იგი ვერ ითმენს, სანამ არ

გაიგებს, რა ხდება. ეს ყველაფერი ძალლს ანიჭებს ისეთი სუნების შეგრძნებისა და გარჩევის უნარს, რომლის არსებობა ადამიანისთვის საერთოდ არც კი არის ცნობილი.

რას ამცნობს ძალლს ადამიანის სუნი?

თქვენი ძალლი კარგად იცნობს თქვენს სუნს. ამ სუნს თავის მეხსიერებაში ინახავს ყველა იმ ადამიანის სუნთან ერთად, ვისაც კი ოდესმე შეხვედრია. ზოგ ადამიანს თქვენი ძალლი სიყვარულით იმახსოვრებს, ზოგს – შიშითა და ზიზღით. მისი „ყნოსვითი მეხსიერება“ ამ ადამიანებთან შეხვედრისთანავე ამუშავდება ხოლმე.

ძალლისთვის ყველაზე ძვირფასი, ნაცნობი და სასიამოვნო მისი პატრონის სუნია. სწორედ ამიტომ ექსპერტები გვირჩევენ, როდესაც დიდი ხნით მივდივართ სახლი-დან, ძალლთან ნახმარი ტანსაცმელი დავტოვოთ. ტანსაცმელს თქვენი სუნი ასდის და ეს მას ახარებს.

და კიდევ, თქვენი სუნის მიხედვით თქვენს ძალლს ბევრი რამის გამოცნობა შეუძლია თქვენი განწყობის შესახებ. კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანის „სიხარულის ცრემლები“ „მწუხარების ცრემლებისაგან“ განსხვავე-



ბულ ქიმიურ ნივთიერებებს შეიცავს. ზოგიერთი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ძალლები მათ არჩევენ ერთ-მანეთისგან და მაშინვე ხვდებიან, ხელი უნდა აგილოკონ, თუ გაგერიდონ, სანამ დამშვიდდებით.

ძალლისთვის სულერთია, ოფლიანი ხართ თუ რაიმე მძაფრი სუნი აგდით ხელზე. მაგრამ არის ისეთი სურნელი, რომელიც მას უკან დაახევინებს. ასეთია ზოგიერთი ციტრუსის, მაგალითად, ლიმონის, ლაიმის და ფორთოხლის სურნელი; ასევე არ უყვარს წითელი წიწაკის სუნი. ზოგიერთ ქვეყანაში ციტრუსს ძალლების მოსაგერიებელი დეზოდორანტის დასამზადებლად იყენებენ.

